საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ანა ხურციძე - კოლეგიის თავმჯდომარე
ანა ლორია - კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ი. ა. /სიითი №/
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.04.2018
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 045/18
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი - ადვოკატი მ. მ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. მ-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 26 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ი. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. მ-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატმა ი. ა.-მ 2018 წლის 25 ივლისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი წარმოადგენს მ. ბ.-ის ინტერესებს ბინიდან გამოსახლების საქმეზე. მოცემულ საქმეზე ადვოკატი მ. მ. მოპასუხეა, რის გამოც იგი ცდილობს ი. ა.-ს დისკრედიტაციას და აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას.

1.3 ი. ა.-სთვის ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ მ. მ-მა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მისი წერილი, რომლითაც ი. ა.-მ, როგორც მ. ბ. ს წარმომადგენელმა, კლიენტთან შეთანხმებით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე მიმართა მოპასუხე მხარეს - მ. მ-ს. ამის შემდეგ ადვოკატმა შეამოწმა მ. მ-ის სოციალური გვერდი, სადაც ნახა სტატუსის სახით ატვირთული წერილი და მასზე თანდართული კომენტარები, რომელშიც მონაწილეობას სხვა ადვოკატებიც იღებდნენ. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოცემულ კომენტარებში მ. მ. სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა ი. ა.-ს, ავრცელებდა მის პირად და პერსონალურ ინფორმაციას, რითიც აკნინებდა მას, როგორც კლიენტის,

ასევე საზოგადოების თვალში. ეს კომენტარები ადვოკატს 2018 წლის 21 თებერვალს ჰქონდა შესრულებული და გამოქვეყნებული სოციალურ ქსელში, მის პირად გვერდზე, საჯაროდ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. მ. ახორციელებდა მასზე ზეწოლას, რაც გამოიხატება მისი პირადი ინფორმაციის გამოქვეყნებაში სოციალური ქსელის მეშვეობით. კერძოდ, ადვოკატმა საკუთარ „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც მიუთითა, რომ საჩივრის ავტორს აქვს რომანი მის მეუღლესთან, რ. ბ.-თან. ასევე, ი. ა.-ს განცხადებით, ადვოკატი ცდილობს საზოგადოების წინაშე საჩივრის ავტორის საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

1.5 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 25 ივლისს მიიღო ინფორმაცია თუ როდის გახდა მ. მ. ადვოკატი და დააზუსტა პრეტენზია ადვოკატ ი. ა.-ს განცხადებით, როდესაც მ. მ-მა მასთან დაკავშირებული ინფორმაცია კომენტარების სახით სოციალური ქსელის მეშვეობით გამოაქვეყნა, მართალია ის იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მაგრამ მას შემდეგ რაც გახდა ადვოკატი, მოცემული კომენტარები კვლავ იდო მის სოციალურ გვერდზე. აღნიშნული დასტურდება 2018 წლის 05 აპრილის „სოციალურ ქსელ www.facebook.com-ის გვერდის დათვალიერების ოქმით“ სისხლის სამართლის საქმეზე №X801, რომელიც შეადგინა გამომძიებელმა ლ. ვ.-მა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე №2/X-18 2018 წლის 13 ივლისს ჩაბარდა ადვოკატ მ. მ-ის შესაგებელი, რომელშიც ადვოკატმა მიუთითა: ,,რაც შეეხება თავად მოსარჩელის წარმომადგენელს ი. ა.-ს, რომელიც ოჯახური ძალადობის ბრალდებაში იცავს რ. ბ.-ს და რომელიც დღეის მდგომარეობით გვევლინება რ. ბ.-ის მამიდის მ. ბ.-ის წარმომადგენლად, თავადაც ბრალად ედება რ. ბ.-თან ერთად ჩემი - მ. მ-ის დისკრედიტაციის მიზნით ჩემი პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის სოციალურ ქსელში განთავსება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რისთვისაც მას რ. ბ.-თან ერთად შეფარდებული აქვს აღკვეთის ღონისძიება, ხოლო მე ცნობილი ვარ დაზარალებულად. შესაბამისად, ამ ფაქტითაც ნათლად დასტურდება, რომ მ. ბ.-ის წარმომადგენელს ი. ა.-ს მხოლოდ წარმომადგენლობითი და დაცვითი ფუნქცია არა აქვს, ის რ. ბ.-თან შეთანხმებულად ახორციელებს ყველა ქმედებას, რაც მიზნად ისახავს ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას და დისკრედიტაციას. აღნიშნული სისხლის სამართლის NX801 საქმე არსებითად იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.“ აღნიშნული გარემოება ადვოკატმა შესაგებელში მიუთითა, როგორც მეშვიდე ფაქტობრივი გარემოება. ადვოკატმა მიუთითა, რომ ი. ა.-ს მიმართ გამოყენებული იყო აღკვეთის ღონისძიება, რასაც ერთის მხრივ, არც განსახილველ საქმესთან ჰქონია კავშირი და მეორეს მხრივ, წარმოადგენს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევას, ვინაიდან ინფორმაცია პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ არის პერსონალური ინფორმაცია. საჩვრის ავტორის განმარტებით, ამ ფორმით ადვოკატი ეწევა ი. ა.-ს დისკრედიტაციას.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. მ. ამტკიცებს თითქოსდა ადვოკატმა ი. ა.-მ მისი დისკრედიტაციის მიზნით სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა, რომელიც ი. ა.-მ მოიპოვა საკუთარი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ვიდეომასალა მას მარწმუნებელმა მ. ბ.-მა წარუდგინა. ვიდეომასალა არ შეიცავდა მ. მ-ის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას. ვიდეომასალა ი. ა.-მ მაშინვე წარუდგინა გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმეზე №X801, რაზეც შედგა ოქმი, თუმცა აღნიშნულ ოქმს ი. ა.-ს არ აძლევდნენ და მას ბრალი წაუყენეს სწორედ მ. მ-ის დაკვეთით. საჩივრის ავტორის განმარტებით, მთავარი პროკურორის - ი. შ.-ის გადადგომამდე ი. ა.-ს დოკუმენტს არ აძლევდნენ, რომ ვიდეოჩანაწერი ოფიციალურად ჰქონდა წარდგენილი. სოციალურ ქსელში მ. მ-ის მიერ დადებული კომენტარები ამყარებს იმ მტკიცებას, რომ მისი დაკვეთით დაიწყო ი. ა.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოცემული ოქმი დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მას მოცემული ვიდეომასალები წარდგენილი ჰქონდა ოფიციალურად მისი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით. ი. ა.-მ 67 განცხადება დაწერა და მოითხოვა ოქმი, თუმცა მის წერილებს უპასუხოდ ტოვებდა პროკურატურა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მ. მ-ს. მოცემულ შესაგებელში მ. მ-მა ასევე მიუთითა, რომ ი. ა.-ს მოცემულ სამოქალაქო საქმეზე მხოლოდ მ. ბ. ს დაცვის ფუნქცია არ ჰქონდა, არამედ ის ყველა ქმედებას ახორციელებდა მ. ბ.-თან შეთანხმებით იმისათვის, რომ მოეხდინა მ. მ.-ზე ფსიქოლოგიური ზეწოლა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მ. მ. უკანონოდ ავრცელებდა მის პირად ინფორმაციას და ამით ცდილობდა ხელი შეეშალა მისთვის ბინიდან გამოსახლების საქმეზე მისი კლიენტის - მ. ბ. ს ინტერესების დაცვაში.

1.8 ი. ა.-ს განცხადებით, მას შემდეგ რაც მან მრავალგზის გადააგზავნა განცხადება მოცემული ოქმის გამოთხოვის მიზნით საქართველოს მთავარ პროკურატურაში, ფოსტის საშუალებით 2018 წლის 28 ივნისს მას ჩაბარდა ამავე წლის 22 ივნისს მის განცხადებაზე ოფიციალური შეტყობინება №13/X, სადაც აღნიშნული იყო, რომ საჩივრის ავტორს მოცემული ვიდეო მასალები ოფიციალურად ჰქონდა წარდგენილი მისი დაცვის ქვეშ მყოფი მ. ბ.-ს ინტერესების დასაცავად.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. მ-მა 2018 წლის 15 მაისს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი დაობს მ. მ-ის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებულ კომენტარებზე დაყრდნობით, რომელიც ადვოკატმა გამოაქვეყნა 2018 წლის 21 თებერვალს, როდესაც იგი სისხლის სამართლის საქმეზე №X010 სასამართლომ დაზარალებულად ცნო. მ. მ. განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ვრცელდება ადვოკატებზე, ხოლო კომენტარების დაწერისას ადვოკატს არ წარმოადგენდა. მან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას გაწევრიანების მოთხოვნით მიმართა 2018 წლის 21 მარტს და ამავე წლის 04 აპრილს გაწევრიანდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. შესაბამისად, კომენტარების დაწერისას იგი არ ითვლებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სუბიექტად და პროფესიული ქცევის ჭრილში ვერ შეფასდება მის მიერ დაწერილი კომენტარები. ამასთან, ადვოკატის განცხადებით, 2018 წლის 21 თებერვალს მის მიერ გამოქვეყნებული საჯარო შეტყობინება ეხებოდა სასამართლოს მიერ მის დაზარალებულად ცნობას და საჩივრის ავტორის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილ კომენტარების ამონაწერშიც არსად არის საუბარი კონკრეტულად ადვოკატ ი. ა.-ზე.

2.2 ადვოკატ მ. მ-ის განცხადებით, საჩივრის ავტორი ცდილობს მოახდინოს მისი დისკრედიტაცია. ადვოკატის განმარტებით ი. ა.-მ სოციალური ქსელის მეშვეობით უკანონოდ გაავრცელა მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა, რაც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული

საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული დასტურდება ი. ა.-ს წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალებით.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას“ და მე-10 მუხლი „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“, როდესაც საჩივარში მიუთითა, რომ „ადვოკატი მ. მ. უკანონოდ ცხოვრობს მ. ბ.-ს საკუთრებაში არსებულ ბინაში“, რადგან ადვოკატის განცხადებით, მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილება არ არსებობს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ადვოკატი მ. მ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანდა 2018 წლის 04 აპრილს.

3.3 ი. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 24 აპრილს.

3.4 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წლის 21 თებერვალსა და ამავე წლის 13 ივლისს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე არ არის დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. მ-ის მიმართ სოციალური ქსელის მეშვეობით გამოქვეყნებული ინფორმაციის ნაწილში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ხოლო სამოქალაქო საქმეზე №2/X-18 ადვოკატ მ. მ-ის მიერ წარმოდგენილ შესაგებელში ადვოკატ ი. ა.-სთან გამოყენებული ფრაზების ნაწილში, ადვოკატ მ. მ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიაში 2018 წლის 23 აპრილს შემოტანილი საჩივრის თანახმად ი. ა.-ს პრეტენზია გამოხატული იყო ადვოკატ მ. მ-ის მიერ 2018 წლის 21 თებერვალს სოციალური ქსელის მეშვეობით გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა საჩივარს დაამატა ახალი პრეტენზია, კერძოდ განმარტა, რომ ადვოკატმა მ. მ-მა 2018 წლის 13 ივლისს, სამოქალაქო საქმეზე №2/X-18 წარმოდგენილ შესაგებელში ადვოკატ ი. ა.-სთან დაკავშირებით მიუთითა ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რასაც განსახილველ საქმესთან კავშირი არ ჰქონია და მიზნად ისახავდა ადვოკატის დისკრედიტაციას.

5.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატ მ. მ-ის მიერ 2018 წლის 21 თებერვალს სოციალური ქსელის მეშვეობით გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე.“

5.3 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: *„ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის მქონე პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“.* შესაბამისად ადვოკატს პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ქმედებებისათვის, რომელიც მან განახორციელა იმ პერიოდში, როდესაც იგი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2018 წლის 20 ივლისს გაცემული ცნობით №--- ირკვევა, რომ ადვოკატი მ. მ /სიითი№/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს №ე გადაწყვეტილების საფუძველზე ირიცხება 2018 წლის 04 აპრილიდან. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ სადაო ქმედება ჩადენილია 2018 წლის 21 თებერვალს, მაშინ, როდესაც მ. მ. არ იყო ადვოკატი. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. მ-ის მიმართ მოცემულ ნაწილში უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება მის მიერ 2018 წლის 21 თებერვალს სოციალური ქსელის მეშვეობით გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან მიმართებაში, ვინაიდან მოცემულ პერიოდში მ. მ. არ ირიცხებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიან სიაში ადვოკატად და მასზე არ ვრცელდებოდა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი წესები. რაც შეეხება ადვოკატ ი. ა.-ს არგუმენტს, რომ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია ადვოკატ მ. მ-ის სოციალურ გვერდზე მისი ადვოკატად გაწევრიანების შემდეგაც იდო და ეს შეიძლება გახდეს პროფესიული ქცევის წესების ადვოკატზე გავრცელების საფუძველი, საპროცესო კოლეგია არ იზიარებს აღნიშნულ მსჯელობას, რადგან მიაჩნია, რომ მ. მ-ის ქცევა არ ატარებდა განგრძობად ხასიათს (მოიცავდა მხოლოდ 21-22 თებერვალს), გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე 04 აპრილის შემდეგ არ გაგრძელებულა საჯარო დიალოგი ადვოკატ მ. მ-ის მონაწილეობით.

5.4 საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიასთან მიმართებაში, მ. მ-ის მიერ სამოქალაქო საქმეზე №2/X-18 2018 წლის 13 ივლისს წარდგენილ შესაგებელში მეშვიდე ფაქტობრივ გარემობად ადვოკატ ი. ა.-ს მიმართ გამოთქმული შემდგომი ფრაზების გამო: *„რაც შეეხება თავად მოსარჩელის წარმომადგენელს ი. ა.-ს, რომელიც ოჯახური ძალადობის ბრალდებაში იცავს რ. ბ.-ს და რომელიც დღეის მდგომარეობით გვევლინება რ. ბ.-ს მამიდის, მ. ბ.-ს წარმომადგენლად, თავადაც ბრალად ედება რ. ბ.-თან ერთად ჩემი - მ. მ-ის დისკრედიტაციის მიზნით ჩემი პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის სოციალურ ქსელში განთავსება, ჩადენილი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რისთვისაც მას რ. ბ.-თან ერთად შეფარდებული აქვს აღკვეთის ღონისძიება, ხოლო მე ცნობილი ვარ დაზარალებულად. შესაბამისად ამ ფაქტითაც ნათლად დასტურდება, მ. ბ.-ს წარმომადგენელს ი. ა.-ს მხოლოდ წარმომადგენლობითი და დაცვითი ფუნქცია არ აქვს, ის რ. ბ.-სთან შეთანხმებულად ახორციელებს ყველა ქმედებას, რაც მიზნად ისახავს ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას და დისკრედიტაციას,“* ეთიკის კომისიამ იმსჯელა შემდეგი ნორმების ფარგლებში:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, *„პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს და არ შელახოს მათი ღირსება.“*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, *„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.*

5.5 კოლეგიალურობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დაიცვას ღირსება და პატივი სცეს კოლეგებს. ადვოკატები, ისევე როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ. ეთიკის კომისია, ადვოკატ მ. მ-ის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიის შეფასებამდე განმარტავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების მნიშნელობას და მიუთითებს რომ:

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებულია ყველა ადამიანის უფლება „თავად მიიღოს და თავად გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით, ან სხვა საშუალებით“. თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში ამომწურავადაა მითითებული ის კრიტერიუმები რომელთა საფუძველზეც იზღუდება ინფორმაციის მიღების, თუ გავრცელების უფლება. კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: ამ მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი უფლებათა განხორციელება კანონით შეიძლება შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია ... სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად...“

,,გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან... . ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით /დისციპლინური საქმე №076/10/ განმარტა: „გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი.“

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №100/12 განმარტა, რომ ,,საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას.“

5.6 ეთიკის კომისია ასევე განმარტავს, რომ მოსაზრებათა დაფიქსირებაში ადვოკატების თავისუფლება არ არის უსაზღვრო და მიუთითებს რომ:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საქმე #1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: ,,გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“

ეთიკის კომისიამ 2006 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე N2317/12/06) აღნიშნა, რომ: ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

5.6 ეთიკის კომისიის განმარტებით, არსებობს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა გამოყენება ხდება ფრაზების შეფასებისას. მომჩივანის მიერ მის პოზიციაში გამოყენებულია სუბიექტური შეფასების კრიტერიუმი. დისციპლინური კოლეგია არ არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობით დატვირთული, იგი იცავს ადვოკატის პროფესიას არაეთიკურად, არაკეთილსინდისიერად და არაპროფესიონალურად მოქმედი ადვოკატებისაგან, რა დროსაც მან მუდმივად უნდა ეძებოს ბალანსი, მათ შორის ისეთი უფლების ქვაკუთხედთან, როგორიც სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებაა. ადვოკატის პროფესია საკმაოდ რთული და კომპლექსურია, რადგან წარმოადგენს საზოგადოების დიდ ინტერესს. ადამიანი, რომელიც ირჩევს ამ პროფესიას მზად უნდა იყოს ისმინოს, მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არც თუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ ეს წარმოადგენს იურისტის პროფესიის განუყოფელ ნაწილს.

5.7 ეთიკის კომისიამ შეაფასა საჩივრის ავტორის მიერ სადაოდ გამხდარი ფრაზები, კერძოდ: *„რაც შეეხება თავად მოსარჩელის წარმომადგენელს ი. ა.-ს, რომელიც ოჯახური ძალადობის ბრალდებაში იცავს რ. ბ.-ს და რომელიც დღეის მდგომარეობით გვევლინება რ. ბ.-ის მამიდის, მ. ბ.-ს წარმომადგენლად, თავადაც ბრალად ედება რ. ბ.-თან ერთად ჩემი - მ. მ-ის დისკრედიტაციის მიზნით ჩემი პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის სოციალურ ქსელში განთავსება, ჩადენილი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რისთვისაც მას რ. ბ.-თან ერთად შეფარდებული აქვს აღკვეთის ღონისძიება, ხოლო მე ცნობილი ვარ დაზარალებულად. შესაბამისად ამ ფაქტითაც ნათლად დასტურდება, მ. ბ.-ს წარმომადგენელს ი. ა.-ს მხოლოდ წარმომადგენლობითი და დაცვითი ფუნქცია არ აქვს, ის რ. ბ.-თან შეთანხმებულად ახორციელებს ყველა ქმედებას, რაც მიზნად ისახავს ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას და დისკრედიტაციას“* და მიიჩნია, რომ მოცემული ფრაზები წარმოადგენს ადვოკატ მ. მ-ის მოსაზრებებს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და ემსახურება მ. მ-ის ინტერესების დაცვას. დისციპლინურ კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს რა ფაქტობრივ გარემოებებს მიუთითებს საპროცესო დოკუმენტში და მითითებული წინადადებები არ

წარმოადგენენ უხამს ან ისეთ „ენას“, რომლის გამოც ადვოკატის მიერ მათი გამოყენება შეიძლება ვარაუდის სახით მიჩნეულ იქნეს არაეთიკურ ქცევად და დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში არსებობდეს ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ ადვოკატს შეეზღუდოს მსგავსი ფაქტების/საკუთარი მოსაზრებების შესაგებელში მითითება.

5.8 აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. მ-ის მიერ შესაგებელში გამოყენებული ფრაზები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან მათი შინაარსი არ არის უხამსი, არ არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს და მიზნად არ ისახავს კოლეგის ღირების შელახვას. ადვოკატ მ. მ-ის მიერ გამოთქმული მოსაზრებების შინაარსიდან და წინაპირობებიდან გამომდინარე კოლეგიას შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოცემული ფორმით საკუთარი აზრის გამოხატვისას ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა საქმის გამოკვლევისა და თავისი უფლებების დაცვის მიზნით დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე საუბარი და არა კოლეგის შეურაცხყოფა და ის მოქმედებდა პროფესიული ეთიკის ნორმებით დადგენილ ფარგლებში. მაშასადამე, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მსგავსი ფრაზების გამოყენება არ შეიძლება მოექცეს არაეთიკური ქცევის ფარგლებში და ჩაითვალოს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლით და მე-10 მუხლის პირველი ნაწილით, მე-11 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე, 28-ე, 30-ე და 31-ე მუხლებით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ი. ა.-ს საჩივარზე №045/18 პირველი პრეტენზიის ნაწილში შეწყდეს წარმოება, ხოლო მეორე პრეტენზიის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს და საჩივრის ავტორს უარი ეთქვას ადვოკატ მ. მ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/